

დემიდ ჰერბერტ ლოურენსი

D. H. Lawrence

ფანტაზია არაცნობიერის თემაზე

Fantasia of the Unconscious

ქართული თარგმანი ეკუთვნის გია ბერაძეს

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი – 2022

წიგნში განხილულია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს წარსულ გამოცდილებას ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, რადგან ყოველი ქმედება პირდაპირ თუ ირიბად აისახება და ილექება არაცნობიერში, რაც შემდეგში თავს იჩენს ამა თუ იმ გადაწყვეტილების განხორციელების დროს.

კულტურისა თუ სხვა გარემოების მიერ დათრგუნული ლიბიდო არაერთი კომპლექსის წყაროდ გვევლინება. სანამ მოზარდის ორგანიზმში სექსუალური სურვილები აქტუალიზირდება, იქამდე გოგონასა თუ ვაჟის ცნობიერში ჩნდება და ხშირად განმსაზღვრელიც კი ხდება ოჯახისა და კულტურის მიერ შემუშავებული წარმოდგენები სექსუალობისა და სექსისადმი, რაც ამ უკანასკნელის დათრგუნვასა და ტაბუირებას განაპირობებს.

ოჯახი, რომელიც პირველი აქტორია სექსუალობისგან დაგლილი სიყვარულისა, მომავალში ხდება იმის განმსაზღვრელი თუ ვინ შეიძლება იყოს ჩვენი პარტნიორი, მეუღლე ან ქმარი... გოგონები, რომლებსაც ძლიერი სიყვარული აკავშირებს ძმებისადმი/მამებისადმი ირჩევენ პარტნიორად თუ ქმრად ძმის/მამის პროტოტიპებს, ხოლო ვაჟები – დედის/დის.

ავტორი წიგნში გვიხსნის, თუ რამდენადაა შესაძლებელი ბედნიერი ქორწინების განხორციელება, რომელიც ოჯახის წევრის პროტოტიპის ძიების შედეგით სრულდება და რა გზით უნდა ავირიდოთ ეს შედეგი.

მთარგმნელი: გია ბერაძე

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4969-5

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	5
თავი 1. შესავალი	15
თავი 2. წმინდა ოჯახი	28
თავი 3. წული, დონეები და ასე შემდეგ	42
თავი 4. ხეები და ჩვილები და ასევე მამები და დედები	53
თავი 5. გრძნობის ხუთი ორგანო	73
თავი 6. გონების პირველი გამონათება	91
თავი 7. პირველი ნაბიჯები აღზრდაში	105
თავი 8. აღზრდა და სექსუალობა, კაცში, ქალში და ბავშვში	122
თავი 9. სექსის დაბადება.....	141
თავი 10. მშობლისმიერი სიყვარული.....	162
თავი 11. მანკიერი წრე	180
თავი 12. ვედრება და შემონებები	200
თავი 13. კოსმოლოგიური	205
თავი 14. ძილი და სიზმრები	221
თავი 15. ქვედა „გმ“	244
თავი 16. ეპილოგი	270
გამომცემლობა „აბთი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....	277

წინასიტყვაობა

ეს ტექსტი არის გაგრძელება წიგნისა „ფსიქონალიზი და არაცნობიერი“¹. მკითხველთა უმრავლესობას მე ვურჩევდი, რომ უკეთესი იქნებოდა ამ წიგნის კითხვით თავი არ შეეწუხებინათ. ამასვე ვურჩევდი კრიტიკოსების უმრავლესობასაც. მე მართლა არ მაქვს სურვილი ვინმე დავარწმუნო. ეს ჩემი ბუნების სრულიად საპირისპირო იქნებოდა. ჩემი წიგნები ხომ მასობრივი მკითხველისთვის არ არის განკუთვნილი. მე შეცდომად მიმაჩნია ჩვენს შემცდარ დემოკრატიაში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ყველა ადამიანს, ვისაც ნაბეჭდი ასოების გარეშე შეუძლია, აქვს უნარი წაიკითხოს და ჩასწვდეს ყველაფერს, რაც ამ ნაბეჭდი ასოებით არის გადმოცემული. ვფიქრობ დიდი უბედურებაა, რომ სერიოზული წიგნები ისე გამოაქვთ გასაყიდად საჯაროდ, როგორც ერთ დროს შიშველი მონები გამოჰყავდათ ბაზარზე. მაგრამ რას იზამ, ვერაფერს გააწყობ, ჩვენ ხომ არასწორად გავგებული დემოკრატიის ეპოქაში ვცხოვრობთ და, სხვა რა გზა გვაქვს, უნდა გავუძლოთ.

მე ვაფრთხილებ მკითხველთა უმრავლესობას, რომ ეს წიგნი მათ გულისამრევი სიტყვების კიდეგ უფრო აბსურდულ გროვად მოეჩვენებათ ვიდრე ის უკანასკნელი. მე გავაფრთხილებდი ასევე კრიტიკოსების ძირითად მასას: მათ ამ წიგნთან არაფერი ესაქმებათ და შეუძლიათ ის სანაგვე ყუთში ჩააგდონ.

1. ავტორის წიგნი – „ფსიქონალიზი და არაცნობიერი“, გამოიცა გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ 2022 წელს, აღნიშნულ გამოცემაში ასევე შესულია ავტორის წერილი – „პორნოგრაფია და უხამსობა“ – მთარგმნელის შემთხვევა.

ხოლო, რაც შეეხება, მკითხველთა და კრიტიკოსთა შეზღუდულ, მცირე რაოდენობას, რომელთაგან, ნებით თუ უნებლიეთ, თუნდაც რაღაც გამოხმაურებას ელოდები, მათ გულწრფელად უნდა განვუცხადო, რომ მე ამ წიგნის მკითხველებს მშის წნულში ვურტყამ. ვფიქრობ მხოლოდ ეს განცხადებაც კი მნიშვნელოვნად შეამცირებს მათ რაოდენობას.

და ბოლოს, დანარჩენ ჩემს ერთ მუჭა მკითხველებს მინდა წინასწარ მოვუბოდიშო კოსმოლოგიისა და კოსმოგონიისაკენ გადახრისათვის ამ წიგნში, ამასთან, მინდა ვთქვა, რომ ეს სრულიად გარდაუვალია. მე მეცნიერი არ გახლავართ. მე ვარ დილეტანტი დილეტანტებს შორის. როგორც ერთმა ჩემმა კრიტიკოსმა თქვა, თქვენ შეგიძლიათ დამიჯეროთ, ან არ დამიჯეროთ.

დიახ, მე არ ვარ არქეოლოგი, არც ანთროპოლოგი და არც ეთნოლოგი. საერთოდ „სწავლულთა“ არცერთ ნაირსახეობას არ ვეკუთვნი. მაგრამ მე ძალიან მადლობელი ვარ სწავლულებისა იმ უზარმაზარი სამუშაოს გამო, რომელიც მათ ჩაატარეს და რომელთა შედეგებით შევძელი მესარგებლა. იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მაინტერესებდა, მინიშნებებს ვპოულობდი სხვადასხვა სახის სამეცნიერო წიგნებსა და მოძღვრებებში – იოგაში, პლატონთან, იოანეს სახარებაში და ჰერაკლიტესთან², ფრეგერთან³, მის „ოქროს ტოტში“ და ფროიდთან და ფრობე-

2. ჰერაკლიტე (დაახლ. ძვ. წ. 520-480 წწ.) – ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. მისმა მთავარმა თხზულებამ – „ბუნების შესახებ“ – ჩვენამდე ფრაგმენტების ან სხვა ავტორების ინტერპრეტაციის სახით მოაღწია. სათქმელის ბუნდოვნად გამოთქმის გამო ანტიკური ტრადიცია მას „ბნელად“ მოიხსენიებს. ყოველი არსის საწყისად ჰერაკლიტე ცეცხლს თვლიდა და მიაჩნდა, რომ ყველაფერი ცეცხლისგან მოდის. მისი აზრით, სამყარო სასრულია. კოსმოსი ერთი მთლიანობაა. ის ცეცხლისგან იბადება და გარკვეული პერიოდის შემდეგ იწვება.

3. ფრეგერი ჯეიმზ ჯორჯი (1854-1941) – ინგლისელი ანთროპოლოგი. ავტორი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნისა „ოქროს ტოტი. მაგიის და რელიგიის კვლევა“ (1890). წიგნში თავმოყრილია უზარმაზარი მასალა მოცემულ თემაზე. ავტორი გვიხსნის მაგიის და რელიგიის წარმოშობის „ფსიქოლოგიურ“ თეორიას. თანამედროვე ანთროპოლოგების უმრავლესობა ამ თეორიას მოძველებულად თვლის.

ნიუსთანაც⁴ კი. და იმ აზრითაც კი, რომ ამ უკანასკნელ ორთან მე ვიპოვე და დავიმახსოვრე მხოლოდ მინიშნებები და დავეყრდენი რა ჩემს ინტუიციას, უფრო შორს წავედი. და ამიტომ მე თქვენ გიტოვებთ სრულ თავისუფლებას, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე უარი თქვათ მთელი ამ გულისამრევი სიტყვების მასაზე, რომელიც ამ წიგნში ჩავყარე, და არ დახარჯოთ მასზე თქვენი თავისუფალი დრო.

ნება მომეცით მხოლოდ ის შევნიშნო, რომ, ჩემი აზრით, არსებობს მეცნიერების უზარმაზარი ველი, რომელიც, ჰერჯერობით, მთლიანად დაკეტილია ჩვენთვის. მე ვგულისხმობ იმ მეცნიერებას, რომელიც ეყრდნობა რა ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ინტუიციას, ცდილობს თვით ცხოვრების საიდუმლოებებს ჩასწვდეს. უწოდეთ მას, თუ გნებავთ, სუბიექტური მეცნიერება. ჩვენი ობიექტური მეცნიერება, როგორც ნაწილი თანამედროვე ცოდნისა, კონცენტრირებულია, მხოლოდ და მხოლოდ, ფენომენებზე. და ისიც მხოლოდ იმ ფენომენებზე, მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირის სისტემაში რომ განიხილება. ჩვენი მეცნიერების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ის აკეთებს ყველაფერს, რაც მასზეა დამოკიდებული, მაგრამ გულუბრყვილო რწმენა იმისა, რომ ადამიანის ცოდნის მთელი შესაძლებლობები მისით ამოიწურება, მე ბავშურ ქარაფშუტობად მეჩვენება. ჩვენი მეცნიერება – ეს არის მეცნიერება მკვდარი სამყაროს შესახებ. ბიოლოგიაც კი, არასდროს არ განიხილავს თვითონ ცხოვრებას და მხოლოდ მის მექანიკურ ფუნქციებს და აპარატს ეხება.

მე გულწრფელად ვფიქრობ, რომ დიადი წარმართული სამყარო, რომლის უკანასკნელი წარმომადგენლები ძველი ეგვიპტე და საბერძნეთი იყვნენ, – იმ წარმართულ სამყაროს,

4. ფრობენიუსი ლეო (1873-1938) – გერმანელი ანთროპოლოგი და ეთნოლოგი. იკვლევდა აფრიკის ხალხების კულტურას. მან შექმნა კულტურის ორიგინალური თეორია, რომელიც იმდენად სოციალურ კი არა, არამედ ბიოლოგიურად მარეგულირებელ ფუნქციებს და მახასიათებლებს ეფუძნებოდა.

რომელიც წინ უსწრებდა ჩვენს სამყაროს, – ჰქონდა თავისი უზარმაზარი, და შესაძლოა სრულყოფილი მეცნიერება – თვითონ ცხოვრებას რომ შეისწავლიდა. ჩვენს ეპოქაში ამ მეცნიერებისაგან მხოლოდ ნამსხვრევები დარჩა მაგიისა და შარლანტანობის სახით. რას იზამ, თვით სიბრძნისგანაც კი, შეიძლება მხოლოდ ნამსხვრევები დარჩეს.

მე მჯერა, რომ ეს უდიდესი მეცნიერება, ახლანდელს რომ უსწრებდა წინ და სრულიად განსხვავებული იყო მისგან თავისი შემადგენლობით და ბუნებით, ოდესღაც საყოველთაო საკუთრებას წარმოადგენდა დედამიწის მთელი მაშინდელი მოსახლეობისათვის. ჩემი აზრით, ის ეზოთერული მეცნიერება იყო და მას ქურუმთა ფართო წრე ფლობდა, მსგავსად იმისა, როგორც დღეს მათემატიკას, მექანიკას და ფიზიკას ერთნაირად სწავლობენ ჩინეთის, ბოლივიის, ლონდონის და მოსკოვის უნივერსიტეტებში, ვფიქრობ, რომ ჩვენს წინამორბედ დიად სამყაროში დიდი მეცნიერება და კოსმოლოგია ეზოთერულად ისწავლებოდა დედამიწის ყველა ქვეყანაში – აზიაში, პოლინეზიაში, ამერიკაში, ატლანტიდასა და ევროპაში. ბელტის მოსაზრება ამ წინანდელი სამყაროს გეოგრაფიული ბუნების შესახებ, მე ყველაზე საინტერესოდ მეჩვენება. იმ პერიოდში, რომელსაც გეოლოგები გამყინვარების პერიოდს უწოდებენ, დედამიწის წყლები, როგორც ჩანს, კონცენტრირებული იყო ჩვენი პლანეტის ზედა არეალში ყინულის უზარმაზარ სამყაროს რომ წარმოადგენდა. ახლანდელი ზღვების და ოკეანეების ფსკერი კი იმ დროს შედარებით მშრალი ადგილი იქნებოდა. ასე რომ, მაგალითად, ახლანდელი ამორის კუნძულები, მაშინ წარმოადგენდა მთებს, ატლანტიდის ვაკეზე რომ იყო წამომართული – იქ, სადაც ახლა ატლანტიკის წყლებია და აღდგომის კუნძულები, მარკიზის კუნძულები უზარმაზარ და მშვენიერ კონტინენტზე იყო დიდებულად აღმართული, მის ადგილზე, ახლა უკიდევანო წყნარი ოკეანეა გადაჭიმული.

ადამიანები, რომლებიც იმ სამყაროში ცხოვრობდნენ, ბევრს სწავლობდნენ და ბევრი რამ იცოდნენ და მთელი დედამიწის მცხოვრებლებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან. ატ-

თავი 1 შესავალი

მოდით იმით დავიწყებ, რომ ბოდიშს მოვიხდი ფსიქონალიზის წინაშე. დიდად სამართლიანი არ არის დასცინო ფსიქონალიტიკურ არაცნობიერს. და თუ არის კიდეც სამართლიანი, მხოლოდ იმ აზრით, როგორც ფსიქონალიზი დასცინის ყოველგვარი ბოროტების ამ სამყოფელს. ამ სამხეცეს, სადაც თავმოყრილნი არიან საოცარი და არცთუ ძალიან სასიამოვნო არსებები. მაგრამ, ყველაზე მეტი უსამართლობაა დასცინო თვითონ ფსიქონალიზს, თითქოსდა ფროიდის, მთელი თავისი თეორიით, არაფერი გამოეგონებინოს და აღეწეროს გარდა არაცნობიერისა.

რა თქმა უნდა, არაცნობიერი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ფროიდის თეორიის გასაღებად. ნამდვილი გასაღები არის სექსი. სექსუალური მოტივი, ამ თეორიის თანახმად, ადამიანის ყველა ქცევის უკან დგას.

მაგრამ ამ ყველაფერს ძალიან შორს მივყავართ. ჩვენ მართლაც უნდა ვაღიაროთ, რომ სექსუალური ელემენტი ადამიანის ყველა აქტივობის ნაწილია. მაგრამ ზუსტად ასევეა სიხარბის ელემენტი და კიდეც მრავალი სხვა. ჩვენ ასევე უნდა დავეთანხმობთ იმას, რომ ადამიანურ ურთიერთობებში სექსის საკმაოდ დიდი წილია, განსაკუთრებით მოწიფულობის ასაკში და ჩვენ ძალიან მადლობელი ვართ ფროიდისა იმისთვის, რომ მან შეძლო თავისი ამ პოსტულატის დაცვა. მისი მადლობელი ვართ

იმისთვის, რომ მან ზეციდან ამ ცოდვილ დედამიწაზე ჩამოგვიყვანა. რასაც ფროიდი ამბობს, ყოველთვის ნაწილობრივ არის მართალი, – თუნდაც ნახევარი პური მთლად უპუროდ დარჩენას სჯობს.

მაგრამ საქმე ისაა, რომ არის კიდევ პურის მეორე ნახევარი. ყველაფერი სექსი არ არის. და ადამიანის ყველა აქტივობა არ შეიძლება სექსუალური მოტივით აიხსნას. ამას დამტკიცება არ სჭირდება. ეს ჩვენ უბრალოდ ვიცით.

რა თქმა უნდა, სექსს, და მასთან ერთად სექსს უდიდესი აზრი აქვს. ეს აზრი ის არის, რომ კაცობრიობის ცხოვრება განისაზღვრება მამაკაცური და ქალური საწყისით და ორივე ასხივებს თავისებურ მაგნიტურ იმპულსს, რომელიც განაცალკევებს მამაკაცურ იმპულსს ქალურისაგან, თუ ის ნეგატიური ან გამყოფი მაგნეტიზმია და იზიდავს მამაკაცებს და ქალებს ერთმანეთისაკენ, თუ ეს მაგნეტიზმი პოზიტიურია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხდება მამაკაცებსა და ქალებს შორის დაახლოება უსაზღვროდ მრავალფეროვანი ფორმებით ურთიერთ შერწყმის სულ ბოლო, კრიტიკულ აქტამდე. შერწყმის აქტის გარეშე, რომელიც ამ დაახლოების გვირგვინია, სექსი ადამიანების ურთიერთობებში – არასრულფასოვანი სექსია, ზუსტად ისევე, როგორც იმპოტენტი არასრულფასოვანი მამაკაცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, შერწყმის აქტი – ეს სექსის უნივერსალური გასაღებია.

მაგრამ სინამდვილეში მთელი ჩვენი ცხოვრება ხომ მართლა სექსთა შორის სიახლოვის დამაგვირგვინებელ შერწყმის აქტამდე არ დაიყვანება. ერთი მხრივ ეს, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, სწორედ რომ ასეა და უკეთესი იქნებოდა, თუ ფსიქონალიზმი გარკვევით იტყოდა ამას. ჩვენ ხომ ხანდახან მართლა გვეჩვენება, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება შერწყმის ამ ერთადერთი წამისკენ არის მიმართული. მოდით, ეს ყველამ გულწრფელად ვაღიაროთ.

მაგრამ ჩვენ არ ვართ შეზღუდული მხოლოდ ერთი მიმართულებით და მხოლოდ ერთადერთი კულმინაციისაკენ მოძრაობით. განა ტაძრის მშენებლობის სტიმული ფიზიკური შერწყმის აქტია? წარმოადგენს თუ არა სექსი შემავლუიანებელ მოტივს ამ

ღვთისნიერ საქმეში? რა თქმა უნდა, არა. თუმცა, სექსუალური ელემენტი აქაც არსებობს და ის მნიშვნელოვანია, მაგრამ არა დომინანტური. იგივე შეიძლება ითქვას, მაგალითად, პანამის არხის მშენებლობის შესახებ. მაგრამ აქ იყო კიდევ რაღაც, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, რაც მთავარ, შემავლუიანებელ მოტივად ჩანდა ამ არხის მშენებლობისას.

და რა არის ეს სხვა, უფრო დიდი იმპულსი? ეს არის მამრი ადამიანის სურვილი შექმნისა: არა ის, რომ „ავაშენო სამყარო შენთვის, ჩემო ძვირფასო“, არამედ ადამიანს უნდა, ააშენოს ის და თანაც ააშენოს ყველაზე ძვირფასი მასალისაგან – საკუთარი „მე“-სგან, თავისი საკუთარი რწმენისგან, თავისი საკუთარი ძალები ჩადოს მის მიერ შექმნილ სამყაროში, თავისი საკუთარი გაგება სილამაზისა. მას სურს შექმნას რაღაც მშვენიერი: და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია: ააშენოს არა მხოლოდ სასარგებლო, არამედ მშვენიერი. პანამის არხს არასდროს არ ააშენებდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ მასში გემებს გაეგლო. მისი მშენებლობა გამოწვეული იყო ადამიანის უანგარო სურვილით შეექმნა რაღაც ძალიან ლამაზი, რაღაც, მის საკუთარ გონებაში დაბადებული, რაღაც ისეთი, რაშიც ის თავისი საკუთარი „მე“-ს ჩადებას შეძლებდა, თავისი რწმენის ჩადებას ზეციური ძალებისადმი და საკუთარი თავის მიმართ. მთელ სიხარულს თავისი სულისა – ყველაფერი ხომ სწორედ ამით იწყება. ეს არის უმთავრესი მოტივაცია, სექსუალური მოტივაცია კი, დამატებითია და ხშირად, მის მიმართ, პირდაპირ ანტაგონისტური.

ამდენად, ნებისმიერი ადამიანური ქმედების უმთავრესი მოტივაცია, ეს მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური ან შემოქმედებითი მოტივაციაა. სექსუალური მოტივაცია კი, როგორც წესი, მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. და ამ ორის ინტერესებს შორის, ყოველთვის დიდი კონფლიქტი არსებობს.

ახლა ჩვენ გვსურს თვალი მივადევნოთ ადამიანური „მე“-ს შემოქმედებითი თუ რელიგიური მოტივაციის პირველწყაროს, ისე, რომ გვახსოვდეს ურთიერთკავშირი პირველადსა და მეორადს, ანუ რელიგიურსა და სექსუალურ მოტივაციას შორის. ეს

ორი დიდი ადამიანური იმპულსი გვერდიგვერდ თანაარსებობს, ისევე, როგორც ქმარი და ცოლი, ან მამა და ვაჟიშვილი. და, რა თქმა უნდა, სრულიად გაუმართლებელია ერთის როლის გადაჭარბება და მეორის როლის დაკნინება.

დღეს ადამიანებს მიდრეკილება აქვთ მთლიანად უარყოფით რელიგიური იმპულსი, ან ამტკიცონ მისი აბსოლუტური უცხოობა სექსუალურის მიმართ. და რაც შეეხება ორთოდოქსალურ რელიგიებს, ისინი მთლიანად უგულებელყოფენ სექსს. კარგია, რომ ფროიდმა მათ მკვახედ უპასუხა ამაზე და აჩვენა რამდენად ცდებოდნენ ისინი. მაგრამ ორთოდოქსული სწავლული სამყაროც ხომ ზუსტად ასევე, უგულებელყოფს რელიგიურ იმპულსებს. მეცნიერებს აუცილებლად სჭირდებათ, რომ ყველაფრის მიზეზს მიაგნონ, მაგრამ საქმე ის არის, რომ რელიგიურ იმპულსს, როგორც წესი, მიზეზი არ აქვს. რაც შეეხება ფროიდს, ის ყოველთვის მეცნიერის პოზიციიდან გამოდის. აი, იუნგი კი, თავისი უნივერსიტეტის მანტიის გარდა, ცდილობს ეკლესიის სტიქარი მოირგოს. ასე რომ, როცა მას უსმენ, ვერ ხვდები ვინ არის შენ წინ – მქადაგებელი თუ მეცნიერი. ჩვენ, უპირატესობას მაინც ფროიდის სექსუალურ თეორიას ვანიჭებთ იუნგის მთელ ამ Libido¹²-ებთან თუ ბერგსონის Elan Vital¹³-თან შედარებით. სექსი

12. Libido (ლათ.) – სურვილი, სწრაფვა ფსიქონალიზის ერთ-ერთი მთავარი ცნება. თავიდან, ფროიდის ადრეულ ნაშრომებში, ის აღნიშნავდა ერთგვარ ფსიქიკურ ენერგიას, რომელიც საფუძვლად უდევს ინდივიდის ყველა სექსუალურ გამოვლინებას. ანუ ფაქტობრივად გამოიყენებოდა როგორც ყველა სექსუალური ლტოლვის სინონიმი. შვეიცარიელი ფსიქოლოგის და ფილოსოფოსის, კარლ იუნგის (1875–1961) 1912 წელს გამოსული ნაშრომის „ლიბიდოს მეტამორფოზები და სიმბოლოები“ კონცეფციით კი, ლიბიდო – ეს არის სექსუალურ საფუძვლებს მოკლებული ირაციონალური ლტოლვა ადამიანისა, ლტოლვა რომელიც მის საქციელს განსაზღვრავს.

13. Elan Vital (ფრ. სიტყვასიტყვით – ცხოვრებისეული ლტოლვა) ფრანგმა ფილოსოფოსმა ანრი ბერგსონმა (1859–1941) ცხოველქმედების ყველა პროცესი ახსნა განსაკუთრებული არამატერიალური და შეუცნობელი რაციონალური ფაქტორის მოქმედებით, რომელიც ჩადებულია ცოცხალ ორგანიზმში.

გამომცემლობა „აპტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით
5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და Id
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – უკმაყოფილება კულტურით
12. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
13. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
14. ზიგმუნდ ფროიდი – ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია
15. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
16. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
17. ბერტრან რასელი – ესეები
18. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
19. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
20. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
21. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

22. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
23. ერის ფრომი – ადამიანის სული
24. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
25. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
26. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
27. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
28. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
29. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები
30. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
31. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
32. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
33. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები
34. ხოსე ორტეგა-ი-გასკეტი – ეტიუდები სიყვარულზე
35. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
36. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია
37. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
38. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
39. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
40. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება
41. ოშო – ცნობიერების მზე
42. ოშო – საწყისთა საწყისი
43. ოშო – სიყვარულის ძალა
44. ოშო – რა არის მედიტაცია?
45. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე
46. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
47. დ. ჰ. ლოურენსი – ფანტაზია არაცნობიერის თემზე
48. დ. ჰ. ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი
49. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
50. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

51. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
52. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
53. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
54. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
55. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
56. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I-IV
57. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა
58. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
59. ნონა ხიდეშელი – Carpe diem
60. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
61. ავტორთა ჯგუფი – სპინობას ფილოსოფია
62. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმი
63. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
64. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
65. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება
66. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
67. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
68. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე
69. არმინ ნავაბი – რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი